საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/3358-16 "07" 09 2016 წ.

მოქალაქე ნათია კუპრაშვილს

,,2016 წლის 2 სექტემბრის ელექტრონული წერილის
(შ-6/9249-16; 02.09.2016) პასუხად"

1. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის 6[1] პუნქტის თანახმად, მაუწყებელი *(გარდა: საზოგადოებრივი მაუწყებელი; საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სათემო მაუწყებელი; საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი)* ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა არჩევნების დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში, თუ მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს იგი განათავსებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას.

„მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნების წელს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. ამასთანავე, საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15%-ისა გამოყენებული უნდა იქნეს წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების ვალდებულება ეკისრება მხოლოდ ტელემაუწყებლებს *(გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, სათემო მაუწყებლის და საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებლისა, რომელთა მიერ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების პირობები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის მე-5–მე-6 პუნქტებით).*

2. საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის 6[1] პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, მაუწყებელი *(გარდა: საზოგადოებრივი მაუწყებელი; საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო; სათემო მაუწყებელი; საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი)* ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა არჩევნების დღემდე ბოლო 30 დღის განმავლობაში, თუ მისი მომსახურების ზონაში მიმდინარე საარჩევნო კამპანიის დროს იგი განათავსებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას, რომელიც, აღნიშნული საარჩევნო სუბიექტის მიერ შეძენილი სარეკლამო დროის ტოლი უნდა იყოს.

საქართველოს ორგანული კანონი ,,მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის თანახმად, საპარლამენტო და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა საერთო არჩევნების წელს პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერისათვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან დამატებით გამოიყოფა დაფინანსება სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარავად. საარჩევნო სუბიექტისთვის გამოყოფილი თანხის არანაკლებ 15%-ისა გამოყენებული უნდა იქნეს წინასაარჩევნო რეკლამის განსათავსებლად სულ ცოტა 7 მაუწყებელში, რომლებიც არ არიან ეროვნული მაუწყებლები.

ზემოაღნიშნული ნორმებიდან გამომდინარე, მაუწყებელი *(გარდა საზოგადოებრივი მაუწყებლის, საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს, სათემო მაუწყებლის და საერთო ეროვნული საეთერო*

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

მაუწყებლისა, რომელთა მიერ წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განთავსების პირობები რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის მე-5-მე-6 პუნქტებით) ვალდებულია უსასყიდლოდ განათავსოს წინასაარჩევნო რეკლამა თუ იგი განათავსებს „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტით გათვალისწინებული საარჩევნო სუბიექტის ფასიან წინასაარჩევნო რეკლამას. ასეთ შემთხვევაში, საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსის" 51-ე მუხლის 6^1 პუნქტის ა) ქვეპუნქტის თანახმად, იგი ვალდებულია წინასაარჩევნო რეკლამის უსასყიდლოდ განსათავსებლად გამოყოს აღნიშნული საარჩევნო სუბიექტის მიერ შემენილი სარეკლამო დროის ტოლი დრო.

ამასთან, გაცნობებთ, რომ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შესახებ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს კომისიის უფლებამოსილებას საკანონმდებლო ნორმის ოფიციალურ განმარტებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, ზემოხსენებული განმარტებები არ არის აუთენტური და არ გააჩნია იურიდიული ძალა მესამე პირებთან ურთიერთობაში.

პატივისცემით,

კომისიის თავმჯდომარე: ვახტანგ აბაშიძე